ს.ს.ი.პ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

02. 03. 2009 № 24

(თბილისი)

/სტუდენტთათვის სწავლის საფასურის გადახდის
დამატებითი ვადების განსაზღვრის შესახებ/

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. სტუ-ს ყველა ის სტუდენტი, რომლებმაც უნივერსიტეტის 2008 წლის №49, №78 და №105 ბრძანებებით განსაზღვრული ვალდებულებები არ შეასრულა დადგენილ ვადებში, გაირიცხოს უნივერსიტეტიდან 2009 წლის 1 აპრილს, ამ ვადამდე არსებული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში.
2. ეს ბრძანება არ ვრცელდება იმ სტუდენტებზე, რომელთა სწავლის საფასურის გადახდის ვადები განისაზღვრა 2008 წლის 12 დეკემბრის „2008 წლის აგვისტოს საომარი მდგომარეობის შედეგად დაზარალებული სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადახდის დამატებითი ვადების დადგენის შესახებ" №111-ე ბრძანების შესაბამისად.
3. სტუდენტებისათვის ბრძანების გაცნობა დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებს და სტუ-ს სტუდენტურ თვითმმართველობას.
4. ბრძანება გამოიკრას ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას, გამოქვეყნდეს ტექნიკური უნივერსიტეტის გაზეთში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მისამართზე - ქ. თბილისი უზნაძის ქ. №52 ან თბილისის საქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე - ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6.

6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რექტორის მ/შ
პრფესორი ფრანგიშვილი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
პრფესორი ქ. ქოქრაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი ბ. მაისურაძე

სტუდენტური თვითმმართველობის
თავჯდომარე თ. დუნდუა